ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 14

21 ნოემბრი 2013 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ნინო გელდიაშვილის სახით, (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის გამზირი #28, 269 24 91
საიდენტიფიკაციო კოდი: 202347013
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ 220101222, ა/ა 200122900.

მეორე მხრივ, შპს ,, მეტრო სერვის +" დირექტორი დავით ლიპარტელიანის სახით, (შემდგომში მიმწოდებელი)
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 74 ა, ტელ/444-766
საბანკო რეკვიზიტები: სს " საქართველოს ბანკი" ბ /კ BAGAGE22 B, ანგ. GE35BG0000000129549500
საიდენტიფიკაციო კოდი: 205150352

ერთი მხრივ - შემსყიდველი, და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის შესაბამისად, ახორციელებს სამგზავრო ბილეთების შესყიდვას პლასტიკური ბარათებზე ანგარიშის შევსების გზით. (CPV კოდი 34980000)

2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება 1950 (ერთი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარით, გადარიცხვა გახორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და სხვა თანხლები დოკუმენტაციის საფუძველზე. მომსახურების გადახდა ხორციელდება ყველა გადასახადისა და გადასახდელის ჩათვლით.
2.2 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3 ანგარიშსწორების წესი
3.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასური შემსყიდველსა და მიმწოდებელის სამუშაოს შესრულების აქტზე (ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები) ხელმოწერის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
3.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.
3.3 გადახდის ფორმა: უნაღდო

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები.
4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ხეკლშეკრულების გაფორმებიდან მომსახურების გაწევა 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
4.2 შემსყიდველი ვალდეულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა.
6,1 მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი.

7.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
7.2 ფორს-მაჟორული გარემოებები დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
8. სხვა პირობები
8.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
8.2 ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
8.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
8.4 ხელშეკრულების საერთო პირობები მიიღება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მიხედვით.
8.5 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.
8.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).
მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი	შპს "მეტროსერვის + ~-ის დირექტორი
ნინო გელდიაშვილი	დავით ლიპარტელიანი